



მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მასობრივი კომუნიკაცია

Mass Communication

ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი

Business-Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

სრული პროფესორი ნოდარ ტაბიძე (მოწვეული)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სოციალური მეცნიერებების მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში
(Master of Social Sciences)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია პროფესიონალი სპეციალისტების მომზადება მასობრივ კომუნიკაციაში; მასობრივი კომუნიკაციის არსის, თეორიული საფუძვლების, მოდელებისა და ტექნოლოგიების სწავლება;

სოციალური წესრიგის შექმნასა და ცვლაში მასობრივი კომუნიკაციის როლის სწავლება;

მასობრივი კომუნიკაციის აქტუალურ პრობლემათა კვლევის, დადებითი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და შედეგების პროფესიულ საქმიანობაში შემოქმედებითად გამოყენების ტექნოლოგიების სწავლება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება - აქვს მასობრივი კომუნიკაციის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;

- აქვს მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა, რაც ახალი, ინოვაციური იდეების შემუშავების საშუალებას აძლევს;
- აცნობიერებს მასკომუნიკაციის თანამედროვე ტენდენციებს და კრიტიკული შეფასების აუცილებლობას;
- გააზრებული ექნება გლობალიზაციის არსი, პროცესები, ქართულ სინამდვილესთან მათი შეჯერებისა და კულტურული ღირებულებების შენარჩუნების აუცილებლობა;
- გაცნობიერებული ექნება მასობრივი კომუნიკაციის როლი და ფუნქციონირების თავისებურებანი ინფორმაციულ საზოგადოებაში;
- გათავისებული ექნება მასობრივი კომუნიკაციის, როგორც შემოქმედებითი პროფესიული საქმიანობის ფსიქოლოგიის საფუძვლების თავისებურებები და შეძლებს მიზნობრივ კვლევებში მათს გათვალისწინებას;
- ექნება მასობრივი კომუნიკაციის სფეროს კვლევების თანამედროვე მეთოდების, პრინციპების, ტენდენციების ღრმა და სისტემური ცოდნა და სპეციფიკის გაცნობიერება;
- მეცნიერული ტექსტის არსის, სტრუქტურის, ტიპოლოგიის ღრმა, კონცეპტუალური ცოდნა, შეეძლება მიზნობრივი ტექსტის შექმნის, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ფორმატირების სპეციფიკის გაცნობიერება;
- ქართული მედია სივრცისა და მასკომუნიკაციის განვითარების ეტაპების ღრმა ცოდნა და შეეძლება ქართული კულტურული ცნობიერებისათვის მისი მნიშვნელობის გააზრება;
- ჟურნალისტიკის სოციოლოგიის პრობლემათა საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა;
- თანამედროვე გლობალიზაციის არსის, ინტეგრაციული პროცესების, გლობალიზაციის პოლიტიკის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა;
- ინფორმაციულ საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების, ტენდენციებისა და კანონზომიერებების სისტემური ცოდნა და სპეციფიკის გაცნობიერება;
- თანამედროვე ფსიქოლოგიური და ფსიქო-სოციალური თეორიებისა და საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფუნქციონირების ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა და შეეძლება მათი გამოყენებითი მხარეების გაცნობიერება;
- მასობრივი კომუნიკაციის პროფესიული ეთიკის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების სისტემური ცოდნა და შეეძლება მათი გადაწყვეტის მნიშვნელობის გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; დარგის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

- შეძლებს მასობრივი კომუნიკაციის მეცნიერული კვლევების ძირითადი მიმართულებების ღრმა და ყოველმხრივი ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენებას;
- მეცნიერული ტექსტის სტრუქტურის სპეციფიკისა და ტიპოლოგიის ღრმა ცოდნის საფუძველზე შეძლებს მიზნობრივი ტექსტისათვის ადეკვატური ფორმატის განსაზღვრას და სტრუქტურირებას;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე ტექნოლოგიების სისტემური ცოდნის საფუძველზე მასობრივი კომუნიკაციის სფეროსათვის მიზნობრივი მოდელის დამუშავებას;
- შეეძლება პროფესიული ღრმა და საფუძვლიანი კომუნიკაციის დამყარება უცხო ენაზე;
- გაცნობიერებული ექნება გლობალიზაციის პროცესების არსობრივი თავისებურებები და შეეძლება მასობრივ კომუნიკაციურ კვლევებში გამოყენება;
- გააზრებული ექნება ინფორმაციულ საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციის ფუნქციონირების სპეციფიკა და შეძლებს პროფესიულ პრაქტიკაში გამოყენებას;
- შეძლებს მასობრივი კომუნიკაციის პროფესიული საქმიანობის სფეროს ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნის ადეკვატურად რეალიზებას პროფესიულ პრაქტიკაში;
- შეეძლება მასობრივი კომუნიკაციის სფეროს კვლევების თეორიებისა და მეთოდების ცოდნის გათავისება და პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება;
- მეცნიერული ტექსტის სტრუქტურისა და ტიპოლოგიის ღრმა ცოდნის მიზნობრივი გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში;
- ქართული მედიასივრცისა და მასკომუნიკაციის განვითარების პრობლემების სპეციფიკის გამოყენებას პროფესიულ საქმიანობაში;
- ჟურნალისტიკის სოციოლოგიის პრობლემათა არსის ცოდნის გამოყენება პროფესიულ კვლევითსა და პრაქტიკულ საქმიანობაში;
- გლობალიზაციის პროცესების ობიექტურობის, ცალკეული ქვეყნის ნებასურვილზე მათი დამოკიდებულების გაცნობიერება და პროფესიული სფეროს კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად გამოყენება;
- თანამედროვე საზოგადოების ინფორმირებულობის ძირითადი პრინციპების, მეთოდების, საშუალებების, მოსალოდნელი საფრთხეების არსში წვდომა და პროფესიული სფეროს კონკრეტული პრობლემის გადაჭრა;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფუნქციონირების ფსიქოლოგიური თავისებურებების თეორიული ცოდნის პროფესიულ სფეროში გამოყენება;
- მასობრივი კომუნიკაციის პროფესიული ეთიკის პრობლემების კვლევის განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

დასკვნის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

- ქართული მედია სივრცისა და მასობრივი კომუნიკაციის განვითარების პრობლემების სისტემური ცოდნის საფუძველზე მათ გადაჭრაზე დასკვნის გამოტანა;
- ჟურნალისტიკის სოციოლოგიის კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე დასკვნის გაკეთება;
- პროფესიული სფეროს პრობლემების კვლევებში გლობალიზაციის პროცესების გამოვლენათა გაცნობიერება და მათი ზემოქმედების რეგვარობაზე დასკვნის გამოტანა;
- ინფორმაციის ძირითადი თავისებურებების რეალიზების საფრთხეების ანალიზი და მათი თავიდან აცილების თაობაზე დასკვნის გაკეთება;
- პროფესიული საქმიანობის სფეროში ფსიქოლოგიური და ფსიქო-სოციალური პრობლემის გაცნობიერების საფუძველზე მისი გადაჭრის თაობაზე ადეკვატური დასკვნის გამოტანა;
- მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული პროცესების შესახებ ინფორმაციის ეთიკური ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი - თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და მის მიერ არჩეულ უცხოურ ენაზე;

- შეძლებს კომუნიკაციებს მშობლიურ და უცხო ენებზე როგორც პროფესიული, ისე მასობრივ აუდიტორიათა და ინტერპერსონალურ ურთიერთობათა დონეზე;
- მასობრივი კომუნიკაციური ტექსტების შექმნას და მასობრივი კომუნიკაციის კვლევების პრობლემატიკაზე შესაბამისი კომუნიკაციის დამყარებას;
- ქართული მედიასივრცისა და მასკომუნიკაციის განვითარების ეტაპების თავისებურებების ანალიზს და კომუნიკაციას პროფესიულ და მასობრივ აუდიტორიასთან;
- ჟურნალისტიკის სოციოლოგიის პრობლემატიკაზე მიზნობრივი ტექსტის შექმნას და კომუნიკაციის დამყარებას აუდიტორიასთან;
- კომუნიკაციას ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში;
- კომუნიკაციას გლობალიზაციის არსის, პროცესების პრობლემატიკაზე პროფესიულ და მასობრივ აუდიტორიასთან;
- კომუნიკაციას მულტიდისციპლინარულ გარემოში კომუნიკაციების ფუნქციონირების პრობლემებზე;
- კომუნიკაციას მასობრივი კომუნიკაციის პროფესიული სფეროს ფსიქოლოგიურ და ფსიქო-სოციალურ პრობლემებზე პროფესიულ და მასობრივ აუდიტორიასთან.

სწავლის უნარი - სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე;

- შეძლებს უცხოენოვანი პროფესიული კომუნიკაციის კომპეტენტურობის მაღალი ხარისხის მისაღწევად სწავლის გაღრმავების მიზანშეწონილობის განსაზღვრას;
- შეძლებს მასობრივი კომუნიკაციის ევოლუციის ეტაპებისა და ქართული მედია სივრცის სპეციფიკის გაცნობიერებას და ამ სფეროში კვლევების გაღრმავების მიზნით საკუთარი სწავლის დაგეგმვას და ორგანიზებას;
- შეძლებს მასობრივი კომუნიკაციის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევის დაგეგმვას და ორგანიზებას;
- შეძლებს მასობრივი კომუნიკაციის განვითარების ეტაპების და ქართული მედია სივრცის სპეციფიკის გაცნობიერების საფუძველზე გაღრმავებული სწავლის განსაზღვრას;
- მასობრივი კომუნიკაციის ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების ღრმა ცოდნის საფუძველზე სწავლის შემდგომი სრულყოფის მიზანშეწონილობის განსაზღვრას.

ღირებულებები - ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;

- გაცნობიერებული ექნება უცხოენოვანი კომპეტენტურობის ღირებულებები და შეეძლება მათი ადეკვატური შეფასება და მომარჯვება პროფესიულ საქმიანობაში;
- გარკვეული იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობების თანამედროვე ტექნოლოგიების ღირებულებათა სპეციფიკაში და შეძლებს მათი დამკვიდრების პროცესებში მონაწილეობას;
- გაცნობიერებული ექნება თანამედროვე გლობალიზაციის მოვლენებისა და პროცესების ღირებულებები და შეეძლება მათი შემოქმედებითად გამოყენება და მათს ფორმირებაში მონაწილეობა.
- შეძლებს მასობრივი კომუნიკაციის კვლევების ღირებულებების გაცნობიერებას და მათი დამკვიდრებისათვის განუხრელ ზრუნვას;
- შეძლებს ქართული მედიასივრცისა და მასობრივი კომუნიკაციის განვითარების ღირებულებების სისტემური ცოდნის საფუძველზე ამ ღირებულებათა დამკვიდრებაში

მონაწილეობას;

- გაცნობიერებული ექნება მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ფსიქოლოგიური და ფსიქო-სოციალური ღირებულებების ფორმირებაში მონაწილეობა და მათი დამკვიდრებისათვის ზრუნვა.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
 საკურსო სამუშაო/პროექტი დამოუკიდებელი მუშაობა სამაგისტრო ნაშრომი

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უფითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. **ვერსტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

7. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2

მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);

- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;

- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;

- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

10. ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

11. დედუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

12. ანალიზის მეთოდი – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

13. სინთეზის მეთოდი – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

14. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

15. წერითი მუშაობის მეთოდი – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

16. ლაბორატორიული მეთოდი – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

17. პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.

18. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

19. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

20. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად,

წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

21. ელექტრონული სწავლება (E-learning) – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;
- დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს;
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური) - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>

კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე http://www.gtu.ge/study/scavleba/samag_Sefas.pdf

დასაქმების სფერო

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილი ცოდნით კურსდამთავრებულებს შეეძლება წარმატებული მუშაობა და კარიერული ზრდა თანამედროვე მასკომუნიკაციის საშუალებებში (პრესა, რადიო-ტელევიზია, ინტერნეტჟურნალისტიკა), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, პრესცენტრებში, საინფორმაციო სააგენტოებში, კომუნიკაციისმცოდნეობით კვლევით ცენტრებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტაციაში (დანართი).

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 15

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები	I წელი		II წელი		სულ, კრედიტები
		სემესტრი I	სემესტრი II	სემესტრი III	სემესტრი IV	
	სასწავლო კომპონენტი:					
1	სასწავლო კურსები	30	25	20		75
	კვლევითი კომპონენტი:					
2	სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი		5			5
3	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი			10		10
4	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა				30	30
ECTS კრედიტები	სემესტრში	30	30	30	30	120
	კურსზე	60		60		120

სპეციალიზაციის “მასობრივი კომუნიკაცია” საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
		სასწავლო კომპონენტი:				
		სავალდებულო სასწავლო კურსები		30	25	20
1.	BSC0007-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ ენებზე).	არ გააჩნია	5		
2.	INCO007-LS	კულტურათაშორისი კომუნიკაციები	არ გააჩნია	5		

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი		
				I წელი	II წელი	
				სემესტრი		
				I	II	III
3.	RES0107-LS	მასკომუნიკაციის კვლევები-1	არ გააჩნია	5		
4.	STAST07-LS	მეცნიერული ტექსტის სტრუქტურა და ტიპოლოგია	არ გააჩნია	5		
5.	POLSK07-LS	პოლემიკური ოსტატობა	არ გააჩნია	5		
6.	WCICU07-LS	მსოფლიო ცივილიზაციები და კულტურა	არ გააჩნია		5	
7.	TPT0007-LP	თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული).	არ გააჩნია		5	
8.	MSE0107-LS	მასკომუნიკაციის ევოლუციის ეტაპები და ქართული მედია სივრცე-1	არ გააჩნია	5		
9.	ENODG07-LS	საინჟინრო-ტექნიკური აზრის განვითარების ეტაპები ქართულ პრესაში	არ გააჩნია		5	
10.	RES0207-LS	მასკომუნიკაციის კვლევები-2	RES0107-LS		5	
11.	PSTCM07-LS	მასკომუნიკაციის შემოქმედების ფსიქოლოგიური კვლევები	არ გააჩნია			5
12.	MSE0207-LS	მასკომუნიკაციის ევოლუციის ეტაპები და ქართული მედია სივრცე-2	MSE0107-LS		5	
13.	GLONA07-LS	გლობალიზაცია და ეროვნული თავისთავადობა	არ გააჩნია			5
14.	MCINS07-LS	მასკომუნიკაცია და ინფორმაციული საზოგადოება	არ გააჩნია			5
15.	MATR007-P	სამაგისტრო პრაქტიკა	არ გააჩნია			5
სემესტრში				30	25	20
წელიწადში				55	20	
სულ				75		

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და ბუნებრივება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
		სასწავლო კომპონენტი:						
		სავალდებულო სასწავლო კურსები						
1.	BSC0007-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ ენებზე).	×	×		×		×
2.	INCO007-LS	კულტურათაშორისი კომუნიკაციები	×	×	×			×
3.	RES0107-LS	მასკომუნიკაციის კვლევები-1	×	×	×	×	×	×
4.	STAST07-LS	მეცნიერული ტექსტის სტრუქტურა და ტიპოლოგია	×	×				
5.	POLSK07-LS	პოლემიკური ოსტატობა	×	×	×	×		
6.	WCICU07-LS	მსოფლიო ცივილიზაციები და კულტურა	×	×	×	×		×
7.	TPT0007-LP	თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული).	×	×		×		
8.	MSE0107-LS	მასკომუნიკაციის ევოლუციის ეტაპები და ქართული მედია სივრცე-1	×	×	×			×
9.	ENODG07-LS	საინჟინრო-ტექნიკური აზრის განვითარების ეტაპები ქართულ პრესაში	×	×	×			
10.	RES0207-LS	მასკომუნიკაციის კვლევები-2	×	×	×	×	×	×
11.	PSTCM07-LS	მასკომუნიკაციის შემოქმედების ფსიქოლოგიური კვლევები	×	×	×	×		×
12.	MSE0207-LS	მასკომუნიკაციის ევოლუციის ეტაპები და ქართული მედია სივრცე-2	×	×	×			×
13.	GLONA07-LS	გლობალიზაცია და ეროვნული თავისთავადობა	×	×	×	×		
14.	MCINS07-LS	მასკომუნიკაცია და ინფორმაციული საზოგადოება	×	×	×	×		
15.	MATR007-P	სამაგისტრო პრაქტიკა		×				

პროგრამის სასწავლო გეგმა

საგანი	საათები	ECTS	\ საათი	ლექცია	სემინარი (მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	სავსურსო სამუშაო/პროექტი	დამოუკიდებელი მუშაობა
სასწავლო კომპონენტი:										
სავალდებულო სასწავლო კურსები										
1.	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ ენებზე).	5/135				45				90
2.	კულტურათაშორისი კომუნიკაციები	5/135	30	15						90
3.	მასკომუნიკაციის კვლევები-1	5/135	30	15						90
4.	მეცნიერული ტექსტის სტრუქტურა და ტიპოლოგია	5/135	30	15						90
5.	პოლემიკური ოსტატობა	5/135	30	15						90
6.	მსოფლიო ცივილიზაციები და კულტურა	5/135	30	15						90
7.	თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული).	5/135	15			30				90
8.	მასკომუნიკაციის ევოლუციის ეტაპები და ქართული მედია სივრცე-1	5/135	30	15						90
9.	საინჟინრო-ტექნიკური აზრის განვითარების ეტაპები ქართულ პრესაში	5/135	30	15						90
10.	მასკომუნიკაციის კვლევები-2	5/135	30	15						90
11.	მასკომუნიკაციის შემოქმედების ფსიქოლოგიური კვლევები	5/135	30	15						90
12.	მასკომუნიკაციის ევოლუციის ეტაპები და ქართული მედია სივრცე-2	5/135	30	15						90
13.	გლობალიზაცია და ეროვნული თავისთავადობა	5/135	30	15						90
14.	მასკომუნიკაცია და ინფორმაციული საზოგადოება	5/135	30	15						90
პრაქტიკული კომპონენტი:										
15.	სამაგისტრო პრაქტიკა	5/135						135		
კვლევითი კომპონენტი:										
16.	სამაგისტრო კვლევის პროექტი -	5/135								135

საგანი	საათები	ECTS	\ საათი	ლექცია	სემინარი (მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	დამოუკიდებელი მუშაობა
პროსპექტუსი										
17.	თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა - კოლოკვიუმი	10/270								270
18.	კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	30/810								810

პროგრამის ხელმძღვანელი

ნოდარ ტაბიძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ივანე ჯაგოდნიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
25 სექტემბერი 2012 წ.
ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური